FS 943
4

ეროვნული
ბიბლიოთეკა

710 — 943 — FS 37(47.922)(05) 943 4
N 943
II. 468 / 2
ქ. გ. წერა-კითხვის წიგნთ-საცავი საზოგადოების

წელიწადი პირველი.

# საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების საქმეთა წარმოება 1879წ. 15 მაისიდამ 1880 წ. 15 მაისამდე.

## საზოგადოების წევრნი და მმართველობა.

საზოგადოებაში ირიცხება 245 წევრი.
ამ რიცხვიდამ: 122 დამფუძნებელია,
123 ნამდვილი.

საზოგადოების მმართველობას შეადგენენ:
თავსმჯდომარე საზოგადოებისა დ. ი. ყიფიანი.
თავსმჯდომარის ამხანაგი კნ. ი. გ. ჭავჭავაძე.
წევრნი: ნ. ზ. ცხვედაძე, ი. ს. ბოგებაშვილი, კნ. ი. გ. მაჩაბელი, ა. ი. სარაჯიშვილი, კნ. რ. დ. ერისთავი, გ. ე. წერეთელი, თ. დ. ჟორდანია, ი. ე. გამყრელიძე, კნ. გ. მ. თუმანოვი, ი. მ. მეუნარგია და გ. ქ. ყუთურგაური.—სულ 13 წევრი. ამ რიცხვიდამ პირველს საზოგადო ყრილობაში (15 მაისს 1879წ.) ამორჩეული იყვნენ მხოლოდ შვიდი პირველი წევრი. უკანასკნელი ექვსი ამოირჩია საგანგებო საზოგადო ყრილობამ ამ წლის 20 იანვარს, საზოგადოების წესდების მეთექვსმეტე § ძალით.

4(10) 2. (16×10), (3. ch.)

საზოგადოების მმართველობის წევრთა კანდიდა-ტებათ არიან: ნ. დ. ჭანანოვი, დ. ი. ავალოვი და ვ. ს. მიქელაძე.

საზოგადოების სეკრეტარი არის ი. მ. მეუნარ-გია, ხაზინადარი კნ. ი. გ. მაჩაბელი.

### საზოგადოების მმართველობის მოქმედება.

ახლად შედგენილმა მმართველობამ წარუდგინა მეორე საზოგადო ყრილობას, რომელიც მოხდა 29 მაისს 1879 წ. პირველი წლის შემოსავალ-გასავლის სია. ამ სიით პირველ წელში მმართველობა მოელოდა.

| | |
|---|---|
| დამფუძნებელ წევრთაგან — — — — | 2520 მ. |
| ნამდვილ წევრთაგან — — — — — | 600 |
| სხვა და სხვა შემოსავალს — — — | 1000 |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკისაგან | 11000 |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან | 11000 |
| და სრულად | 26,120 მ. |

ამ ფულიდამ 8 ათასი მანეთი შემოწირული იყო ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან პირო-ბით; რომ მაგ ფულით სააზნაურო მოსამზადებელი შკოლა გაიმართოს ქ. ქუთაისში.

რაც შეეხება პირველ წელში საჭირო ხარჯს მმართველობამ ვერ წარუდგინა საზოგადო ყრილობას დაწვრილებითი სია ამ საგანზე, რადგანაც არ იცოდა თუ რა მდგომარეობაში იყო საქართველოში სოფ-ლის შკოლის საქმე და უამისოთ ვერ განმარტებდა სად რა უნდა მოეხდინა წერა კითხვის გასავრცელებ-ლად და რა საგანი რა ხარჯს მოითხოვდა.

ამისგამო მმართველობამ წარუდგინა საზოგადო ყრილობას თავისი მოსაზრება იმაზე თუ როგორ უპი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდა საზოგადოების ფულს ხარჯვას და შენახვასა.

ამ მოსაზრებით თბილისისა და ქუთაისის ბანკიდამ შემოწირული 14 ათასი მანეთი და სხვა ყოველი ერთ-ხანად შემონაწირი ფული უნდა შენახულიყოს საზოგადოების სამუდამო ხელ უხლებელ თანხად ყოველგვარი სხვა შემოსავალი: საწევრო და სპექტაკლებისაგან შემოსრული ფული და თანხის სარგებელი უნდა დახარჯულიყო ყოველ წლიურის საზოგადოების საჭიროებისათვის. მმართველობამ ამასთანავე ითხოვა დაენიშნათ საზოგადოების სეკრეტრისათვის ჯამაგირი 600 მანეთი, კანცელიარის ხარჯათ 60 მ. და წესდების დაბეჭდისათვის და ზოგიერთა კანცელარიის ავეჯის სასყიდველათ 190 მანეთი.

მეორე საზოგადო ყრილობამ განიხილა ეს სია და საუმჯობესოთ დაინახა არ შეევიწროებინა მმართველობის მოქმედება ხელ-უხლებელი თანხის დაფუძნებით. ყრილობამ ნება დართო მმართველობას დაეხარჯა საზოგადოების ქონებიდამ იმდენი, რამდენსაც მოითხოვდა საზოგადოების საქმე. სეკრეტრის ჯამაგირზე, კანცელიარიის ხარჯზე და კანცელიარიისათვის ერთხანად მოთხოვნილ ფულზე ყრილობამ მმართველობას ნება მისცა.

საზოგადოების წესდების მეორე § ძალით მმართველობას უნდა მიექცია თავისი უმთავრესი ყურადღება 4 საგანზე. ეს საგნები არიან: ღარიბ შკოლების დახმარება ახალის შკოლების გამართვა, შკოლებისათვის ღირსეულ მასწავლებელთ მომზადება და რიგიანი საყმაწვილო წიგნებისა და სახელმძღვანელოთ დაბეჭვდა ქართულს ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველობა პირდაპირ აპირებდა ამ აზრის ასრულებას, რომ არ დაებრკოლებინა ერთს გარემოებას. მმართველობას, როგორც წინად მოვიხსენიეთ, არა ჰქონდა არა ვითარი ცნობა სოფლის შკოლებისა და მათ საჭიროებაზე, არ იცოდა სად და რა პირობით შეიძლებოდა ახალ შკოლების გამართვა, ასე რომ იძულებული შეიქნა შეეჩერებინა თავისი მოქმედება ვიდრე არ მიიღებდა ამ საჭირო ცნობებს, რომელთათვისაც მიჰმართა ბბ. თბილისისა და ქუთაისისა სახალხო შკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს და მაზრის უფროსებს.

ამ ცნობის შეკრეფამ ერთობ დიდი ხანი მოინდომა. ზოგიერთ სოფლის მასწავლებელთაგან წარსული წლის ივნისის თვეში გაგზავნილი წერილების პასუხი მოვიდა მმართველობის კანცელიარიაში მხოლოდ ამ წლის იანვარში. ასე რომ ამ დაგვიანებულ პასუხმა და მმართველობის ლოდინმა ბევრათ შესცვალა მმართველობისაგან განზრახული მოქმედება. როგორც ამის ქვემოთ დავინახამთ, სხვათა შორის, ეს იყო უმთავრესი მიზეზი რომ ამ წელში მმართველობამ შემდეგისათვის გადასდვა ახალის შკოლების გამართვის საქმე.

## სახალხო შკოლების მდგომარეობა საქართველოში.

პირველი ცნობა საქართველოს შკოლებზე მოუვიდა მმართველობას სახალხო შკოლების დირექტორებისგან. მერე ხან გამოშვებით სახალხო შკოლების მასწავლებლებთაგანაც. ამ ცნობით აღმოჩნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ წარსულის სწავლების ვადის ბოლოს ქართული სახალხო შკოლები იყო:

თბილისის გუბერნიაში 29.
ქუთაისის გუბერნიაში 84.

ამ შკოლებში სწავლობდა:

თბილისის გუბერნიაში 1016 ყმაწვილი
ქუთაისის გუბერნიაში 2607.

ამ რიცხვიდამ თბილისის გუბერნიაში არის:

ვაჟი 936.
ქალი 80.

ქუთაისის გუბერნიაში:

ვაჟი 2752.
ქალი 35.

მიღებულ ცნობებიდამ სჩანს, რომ თითქმის ყველა სოფლის შკოლები საქართველოში არიან მეტის მეტად შევიწროებულ მდგომარეობაში. არც შკოლის მოწყობილება, არც თითონ შკოლის სახლი არ არიან სახალხო შკოლებში არამცთუ პედაგოგიის და გიგიენის მოთხოვნილებას შეფერებულნი, ისე სადგომადაც კი არ ვარგანან. მაგალითებ:

ვანის სოფლის შკოლაში (ქუთ. უეზდ), შკოლის ოთახს ორს ადლზე ნაკლები სიმაღლე აქვს. ამისთანავე მდგომარეობაშია სადმელის შკოლა, რაჭაში.

აჴუთის სოფლის შკოლაში (ზუგდ. უეზდ.) ყმაწვილები სკამების უქონელობისა გამო მიწაზე და ქვებზე სხედან.

სხვავის სოფლის შკოლა არის გამართული ზედ ბოსელზე, რომლის გამო შკოლაში მუდამ ავი სუნი დგას და სხ.

საზოგადოთ უმეტეს ნაწილ შკოლებისას არა აქვს რიგიანი და საკმაო შკოლის მებელი, სახლებს აკლია ბუხარი, არ არიან შელესილნი, არა აქვთ ფანჯრები, რიგიანი იატაკი თუ ჭერი. ამასთან ზოგიერთა შკოლებს სახურავი აქვთ გაფუჭებული და ჭერიდამ ჩამოდის წვეთი და სხ. და სხ.

ზევრს შკოლას არა აქვს ზამთარში შეშა, რაისა გამო სწავლა ან სულ შეჩერებულია, ან ყმაწვილები სიცივისა გამო ვერ სძლებენ შკოლაში და არ დადიან. ამას გარდა ის გარემოება რომ ზოგიერთი შკოლები სოფლის სასამართლოსთან ახლო არიან აშენებულნი ზევრს უშლის შკოლაში სწავლას, რადგანაც სასამართლოში მუდამი ხალხის ყაყანია.

არც თვითონ სოფლის შკოლის მასწავლებლებები არიან კარგს ყოფაში, მცირე ჯამაგირისა გამო.

ტფილისის გუბერნიის სახალხო შკოლებში ამ გვარათ არის საქმე შესახებ მასწავლებელთა ჯამაგირისა და შკოლის შენახვისა.

| | მაზრის სახელები. | შკოლების რიცხვი. | შკოლების შესანახავად წლიური ხარჯ. მანეთობით. | მასწავლებელთ ჯამაგირი. | | თითოეულად რიცხვი მასწავლებ. ჯამაგირისა. |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 150—250 მანეთამ. | 250 მ. ზემოთ. | |
| 1 | ტფილისის მაზრაში | 6 | 1666 მ | 5 შკ. | 1 შკ. | 238 მ |
| 2 | გორის მაზრაში. . | 6 | 2583 | 1 | 5 | 292 |
| 3 | თელავის მაზრაში . | 9 | 3060 | 2 | 7 | 287 |
| 4 | თიანეთის მაზრაში | 1 | 500 | — | — | 360 |
| 5 | სიღნაღის მაზრაში | 7 | 1877 | 4 | 3 | 247 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ანგარიშიდამ სჩანს, რომ თბილისის გუბერნიის სოფლების საზოგადოებანი იხდიან წელიწადში შკოლების შესანახავად 9575 მანეთს; ამ ფულიდამ 7498 მანეთი იხარჯება მასწავლებლების ჯამაგირში; თითოეულს მათგანს ორთაშუა ანგარიშით შეხვდება წელიწადში 252 მ. დანარჩენი იხარჯება შკოლის სხვა და სხვა საჭიროებისთვის.

ქუთაისის გუბერნიის შკოლების მასწავლებელთ ჯამაგირზე მმართველობას არა აქვს დაწვრილებითი ცნობა. კავკასიის სასწავლებელ ოკრუგის მზრუნველის „სახსოვარ წიგნში“ არის მოყვანილი ცნობა მხოლოდ 71 შკოლაზე. ამ შკოლების მასწავლებელთ აქვთ წელიწადში:

ათს — — 200 მანეთზე ნაკლები
თოთხმეტს 200 მანეთი.
რვას — — 225 მანეთი.
ცხრას — 240 მანეთი.
თერთმეტს. 300

სულ ხსენებულ „სახსოვარ-წიგნით“ ქუთაისის გუბერნიის სოფლის საზოგადოებანი აძლევენ მასწავლებელთ ჯამაგირში 16,207 მანეთს. ორთა-შუა რიცხვით თითო მასწავლებელს შეხვდება 228 მ.

დანარჩენ 13 შკოლაზე (სულ არის 84 შკოლა, როგორც გვაცნობა ბ. ქუთაისის სახალხო შკოლების დირექტორმა) მმართველობას ჯერ კიდევ არა აქვს არა ვითარი ცნობა.

თუმცა ამ ორის მხრით იყო შევიწროებული შკოლების მდგომარეობა, მაგრამ მმართველობამ მარტო იმას მიაქცია ყურადღება, რომ თვითონ შკოლები, შეძლებისამებრ, რიგიანად მოეწყო სწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში სახმარ ნივთებითა და მებელითა, რადგანაც მასწავლებელთა ჯამაგირების მომატება დიდს ხარჯს მოითხოვდა.

## გამართულის სახალხო შკოლების დახმარება.

საზოგადოების მმართველობის 20 ოკტომბრის პროტოკოლში (მეორე სტ.) არის შემდეგი გადაწყვეტილება მმართველობისა: რადგანაც ერთის მხრით ახალ შკოლების გამართვა ამ მოკლე დროში ძნელია, უფრო იმიტომ რომ მეტად ცოტანი არიან მომზადებულნი მასწავლებელის თანამდებობისათვის და მეორეს მხრით აწინდელი შკოლები ძლიერ ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან და საჭიროებენ სხვა და სხვა გვარ შემწეობას, მმართველობამ თავისი უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს იმ შკოლების გაუმჯობესობას, რომელნიც ეხლა არსებობენ. ამ გადაწყვეტილობის ძალით მმართველობამ სხვა და სხვა დროს ამ პირველის წლის განმავალობაში გაუგზავნა ხუთ-ას სამოცდა ხუთის მანეთის და თორმეტი კაპეიკის (565 მ. და 12 კ.) წიგნები და წერისათვის საჭირო ნივთები სოფლის შკოლებსა, ღარიბ მოსწავლეთათვის უფასოდ დასარიგებლად: ახალ-გორის სოფლის შკოლას (დუშეთ. უეზდ.), ქონდოლისა და ფშაველის შკოლებს (თელავ. უეზდ.) რუისის შკოლას (გორის უეზდში.), ვანის, ეწერის და ჭაგნის შკოლებს (ქუთაის. უეზდ.), ქორცხელის, ახუთის და მკის შკოლებს (სენაკ. უეზდ.), ბახვის, ძიმითის, ნიგოითის და ლანჩხუთის შკოლებს (ოზურგ. უეზდ.) და სადმელის შკოლას (რაჭ. უეზდ.) წიგნების და წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რისათვის საჭირო ნივთების გაგზავნის დროს სახეში მიღებული იყო მოსწავლეთა რიცხვი თვითეულს სასწავლებელში ცალკე. ეს შემწეობა მიეცათ უფრო იმისთანა შკოლებს, სადაც წიგნებისა და სწავლის საჭირო ნივთებისათვის არც სოფლის საზოგადოება და არც სახალხო შკოლების დირექცია არ აძლევს არა ვითარ შემწეობას.

გარდა ამისა, მმართველობამ, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ სოფლებში ძნელად და ძვირათ იშოვება წიგნები და წერისათვის საჭირო ნივთები იმ ყმაწვილებთათვის, რომელთაც შეუძლიანთ ნივთების სყიდვა,—დაადგინა, რომ ყოველთვის, როდესაც რომელსამე შკოლაში იგზავნება ღარიბ მოსწავლეთათვის დასარიგებელი წიგნები, გასასყიდათაც იგზავნებოდეს წიგნები და სხვა შკოლისთვის სახმარი ნივთები იმ პირობით, რომ გაყიდული იქმნეს იმ ფასათ, რა ფასათაც, თვითონ მმართველობას დაჰსჯდომია და გაყიდვიდამ შემოსული ფული დაუბრუნდებოდეს მმართველობას. ჯერ-ჯერობით ამ პირობით გაიგზავნა 19 მანეთის წიგნები მხოლოდ ნაესაკოვის სოფლის შკოლაში.

წიგნებისა და წერისათვის საჭირო ნივთებს გარდა, მმართველობა დაეხმარა სოფლის შკოლებს სხვა გზითაც. სოფლის შკოლების მზრუნველობის შუამდგომლობით მმართველობამ შეაწია ფული შკოლის შენობის გადასაკეთებლათ და მოსათავებლათ შემდეგ ორ სოფლის საზოგადოებას.:

მეტეხის სოფლის საზოგადოებას (გორ. უეზდ.) ოთხმოცი მანეთი.

2. 3-ს წარსულს თებერვალს, გამართა ქ. ქუთაისში მოსამზადებელი შკოლა ოთხის წლის კურსით ქუთაის საადგილ-მამულო ბანკის წევრთა საშუალებით.

3. გადასწყვიტა სახ. შკოლის გამართვა, ტფილისში და რადგან დადგენილია, რომ ეს შკოლა გაიმართოს ტფილისში სეკტემბერში, შკოლისთვის კიდეც დაამზადა საჭირო მებელი კასსისა.

4. გადასწყვიტა თითო შკოლის გამართვა ბათუმში, სვანეთში და ერთი ქალების შკოლაც ხონში (ქუთ. უეზდ). ამ ადგილებში შკოლის გასამართავად მმართველობამ უკვე შეუდგა საჭირო მიწერ-მოწერას ვისთანაც ჯერ არს.

ამას გარდა ზოგიერთა სოფლის საზოგადოებამ როგორც მაგალითებრ: წინარეხისამ (გორ. უეზდ.), თონეთისამ (ტფილ. უეზდ.), აწყურისა ტაძრისა და შდისამ (ახალც. უეზდ.)—დაადგინეს სოფლის განჩინება შკოლების გამართვაზე მათ სოფლებში, თუ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება აღმოუჩენს შემწეობას.

ამ განჩინებათაგან სამი წარუდგინა ადგილობრივ გუბერნატორს დასამტკიცებლათ თითონ ახალციხის მაზრის უფროსმა და ერთი საზოგადოებამ, მაგრამ ეს განჩინება ჯერ არ დაუმტკიცებია მთავრობას, ასერომ მმართველობამ ამ საგნებზე ამ ხანად ვერაფერი განკარგულება ვერ მოახდინა.

### შკოლის მასწავლებელთ მომზადება.

საზოგადოების მმართველობამ პირველშივე განაცხადა სურვილი, გამოზარდოს გორის სამასწავ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლებლო სემინარიაში რამდენიმე ყმაწვილი, რომელნიც საზოგადოებას პირობით შეეკვრიან იმსახურონ საზოგადოების შკოლებში ექვსი წელიწადი, კურსის შესრულების შემდეგ. ეს სურვილი მმართველობისა, ზოგიერთა მიზეზების გამო, ვერ ასრულდა ამ წლის თებერვლამდის. 9 თებერვალს მმართველობამ, თანხმად გორის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორის **დ. დ.** სემიონოვის რეკომენდაციისა და განგებ ამის თაობაზე **გორში** გაგზავნილის **ნ. ზ. ცხვეთაძის** მოხსენებისა მიიღო საზოგადოების სტიპენდიანტებათ ხუთი მოწაფე ხსენებული სემინარიისა: **ო.** კვიჟინაძე, **მ. ოდიშელიძე, დ.** კერესელიძე, **დ.** ფირცხალავა და **გ. ჭილაძე. თითოეულმა** მათგანმა მისცა მმართველობას ხელშეკრულობის წერილი ბატ. დირექტორის ხელ-მოწერილი და სემინარიის ბეჭდით დამოწმებული, იმსახუროს საზოგადოების შკოლაში ექვსი წელიწადი.

ამ სტიპენდიანტებისთვის პირველი ექვსი თვის სარჩო, იანვრიდამ დამოკიდებული ივლისამდის, ოთხას ორმოცდა შვიდი მანეთი, უკვე გაეგზავნა გორის სემინარიის მმართველობას. ამას იქით თითო სტიპენდიანტის შენახვა დაუჯდება საზოგადოებას 130 მანეთი წელიწადში.

8 მარტს, მმართველობამ ერთი სტიპენდიანტი კიდევ მიიღო, ალექსანდროვის ინსტიტუტთან საქალაქო შკოლის მოსწ. მეგრელი სამურზაყანოდამ **ტ.** კონსტანტინოვი, რომელიც ეხლა კურსს ასრულებს.

ამ ყმაწვილმა მისცა საზოგადოების მმართველობას ხელშეკრულობა მომავალს სეკტემბერში შევიდეს გორის სამასწავლებლო სემინარიაში და შემდეგ იმ

სემინარიის შესრულებისა ემსახუროს საზოგადოებას ექვსი წელიწადი. 1 სეკტემბრამდის კონსტანტინოვს ეძლევა თვეში თუთხმეტი მანეთი, რადგან არავითარი სახსარი ცხოვრებისა არა აქვს.

ამას გარდა, რადგანაც მასწავლებლები ძლიერ საჭირონი არიან როგორც ახლად გასამართ შკოლებისთვის, ისე იმათთვისაც, რომელნიც უკვე გამართულნი არიან და ეს სტიპენდიანტები არც სამყოფნი არიან და არც მალე მოეშველებათ შკოლებს, მმართველობამ განიზრახა პედაგოგიურ კურსების გამართვა თბილისში. ამ პედაგოგიურ კურსებში, რამდენსამე თვეს შეიძლება საკმაოთ მომზადდეს სხვა და სხვა სასწავლებლებიდამ გამოსული მოწაფეები, რომელნიც ისურვებენ სოფლის შკოლაში სწავლებას. ჯერხანათ მმართველობამ შეაყენა ამ გვარი კურსების გამართვა, რადგანაც მათი გამართვის პროექტი, რომელიც მმართველობას წარუდგინა ნ. ზ. ცხვეთაძემ არ ეთანხმებოდა „დროებით კურსების გამართვის რიგს სახალხო განათლების მინისტრისგან დამტკიცებულს (5 აგვ. 1875.). მაგრამ, როდესაც ეს პროექტი სრულიად შეთანხმდება ამ „რიგთან“, მმართველობას სახეში აქვს გამართოს ეს პედაგოგიური კურსები.

## სახელმძღვანელო წიგნებზე ზრუნვა და პრემიის დანიშვნა.

საზოგადოების წესდების მეორე § ვალად სდებს საზოგადოებას მიაქციოს ყურადღება სახელმძღვანელო და სხვა წიგნების გამოცემას.

მმართველობამ, სცნო რა ნაკლულევანება ქართულ ენაზე შედგენილ სახელმძღვანელოთა საჭიროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაინახა დაენიშნა პრემია პირველ დაწყებითი კურსის წიგნთა შედგენისთვის. პრემია დანიშნა მმართველობამ 9 თებერვალს და გამოაცხადა „დროებაში“. პრემია არის დანიშნული შემდეგის საგნებისთვის:

150 მანეთი პირველ დაწყებითი არითმეტიკის შედგენისათვის.

300 მ. გეოგრაფიის პირველ-დაწყებითი კურსის შედგენისთვის.

300 მ. საქართველოს ისტორიიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

200 მ. ბუნების მეტყველებიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

კონკურსისთვის დანიშნული წიგნები მმართველობას უნდა წარუდგინონ 1 თებერვლამდე 1881 წლისა.

მმართველობას მოუვიდა რამდენიმე საყმაწვილო წიგნები იმ პირობით, რომ თუ სასარგებლოთ დაინახავდა, დაებეჭდა თავის შკოლებისთვის. ზოგი ამ წიგნთაგანი განიხილა მმართველობამ და არა სცნო ღირსათ დაბეჭდვისა. ზოგი კი ჯერ ცალკე კომისიის ხელშია და მმრათველობას არა გადაუწყვეტია რა.

## წიგნებისა და შკოლებისთვის სახმარ ნივთების დეპოს გამართვა

რადგანაც საზოგადოების მმართველობას ყოველ წლივ დასჭირდება გაგზავნოს სოფლის შკოლებში სწავლისათვის საჭირო ნივთები და ტფილისში ძრიელ ძვირათ დაუჯდებოდა ამ ნივთების აქაური ვაჭრები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან ყიდვა მმართველობამ გადასწყვიტა თვითონ იქონიოს დეპო წიგნებისა და სწავლაში სახმარ სხვა და სხვა გვარ ნივთებისა, ალებ-მიცემობის წესით.

ამ დეპოდამ უნდა უგზავნოს წიგნები სოფლის შკოლებს ღარიბ მოსწავლეთათვის უფასოდ დასარიგებლად და ყიდოს კიდეც. მმართველობა ფიქრობს რომ თუ ექნება დეპოში ყოველ გვარი სამოსწავლო ნივთი და თუ გაჰყიდის სხვა ვაჭრებზე უფრო იაფად რამდენიმე პროცენტით შეიძლება, არამც თუ უგზავნოს ყოველ წლივ წიგნები და სხვა ნივთები სოფლის მოსწავლეთა უფასოთ დასარიგებელად, არამედ სარგებლობაც იქონიოს.

მმართველობის გამოანგარიშებით დეპოს გამართვისთვის საკმაოა ექვსი ათასი მანეთი, რომელიც უკვე გადიდვა, ამ საგნისათვის. ეხლა არის გამართული მიწერ-მოწერა რუსეთისა და სამძღვრის გარეთელ წიგნების მაღაზიებთან, რომ რაც შეიძლება ყოველივე ეს იაფად დაისოს.

### საზოგადოების ბიბლიოთეკის გამართვა.

საზოგადოების მმართველობამ გადასწყვიტა ბიბლიოთეკის გამართვა საზოგადოების წევრთათვის და საყოველთაო საკითხავად. რადგანაც წესდების საზოგადო აზრით ბიბლიოთეკა, რომელიც სახეში აქვს წესდების მეორე §, უნდა იყოს, უმეტეს ნაწილათ მაინც, შემდგარი ქართულის წიგნებისგან და ქართული წიგნები კი უფრო უმეტესად ხელ-ნაწერები არიან და დღითი დღე თან-და-თან იკარგებიან, საჭირო იყო მმართველობა ეხლავე შესდგომოდა ამ ბიბლიო-

ტეკის გამართვას და შეეკრიფა ერთ ადგილზე ყველა ქართული ძველი და ახალი ლიტერატურის ნაწარმოები. მმართველობას იმედი აქვს, რომ ყოველი წევრი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა აღმოუჩენს წიგნების შემოწირვით შემწეობას.

ამ ბიბლიოტეკისთვის მმართველობამ შეადგინა დროებითი წესი, რომელიც მალე დაიბეჭდება აქაურ გაზეთებში.

საზოგადოების სასარგებლოთ შემოწირულობა.

წარსულს ივნისის თვეში მმართველობის წევრმა თავ. რ. დ. ერისთავმა შემოსწირა საზოგადოებას 250 ეკზემპლიარი, მისგან გალექსილი „იგავ-არაკნი" საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუიდამ".

წარსულ ნოემბრის თვიდამ საზოგადოების დამფუძნებელმა წევრმა თავ. პ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკიმ ათხოვა საზოგადოების მმართველობას, დროებით ქარხანა შკოლის მებლის საკეთებლათ. ეს ქარხანა ჯერ კიდევ საზოგადოების სარგებლობაშია.

წარსულ წელშივე ს. ცხინვალში სცენის მოყვარეთაგან გამართულ წარმოდგენიდამ საზოგადოებას მოუვიდა ოთხმოც-და-ოთხი მანეთი.

ამას გარდა საზოგადოების დამფუძნებელთ წევრთა ალექსანდრე, ზორის ეპისკოპოსმა და არტილერიის პოლკოვნიკმა დიმიტრი ივანეს ძე მუსხელოვმა შემოიტანეს საზოგადოების ხაზინაში სამას-სამასი მანეთი და ნამდვილმა წევრმა ი. ზ. ზუბალოვმა ასი მანეთი.

FS 943/4 3

## ქუთაისის სააზნაურო შკოლა.

28 აპრილს 1879 წ. ქუთაისის საადგილ მამული ბანკის წევრთა გადასდვეს ბანკის შემოსავლიდამ რვა ათასი მანეთი (8000 მ.) ქუთაისში სააზნაურო მოსამზადებელი შკოლის გასამართავათ. ამ შკოლის გამართვა და გამგეობა თავად აზნაურობამ მიანდო წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. საზოგადოების მმართველობამ ამ საგანზე მიიღო ცნობა წასრული წლის აგვისტოს და მაშინვე მოახდინა განკარგულება ამ შკოლის გასამართავად.

მმართველობა ამ საქმის დასაწყისშივე დარწმუნდა, რომ შკოლის მომართვა და მის წარმატებაზე ზრუნვა მისთვის ძალიან ძნელი იქნებოდა, რადგან მმართველობა თბილისშია და შკოლა ქუთაისში უნდა ყოფილიყო, თუ მმართველობას არ ეყოლებოდა თითონ ქუთაისში საკუთარი შკოლის მზრუნველობა. ამისგამო მმართველობამ სთხოვა საზოგადოების წევრთა: ა. ბ. მუსხელოვისას, კნ. ე. დ. ჴიფიანს, ს. ბ. ლოლობერიძეს, ა. ი. ფიფინოვს, კნ. ა. ნ. ლორთქიფანიძეს. ნ. დ. ჴიფიანს და კნ. კ. ბ. ლორთქიფანიძეს მიეღოთ ამ შკოლის მზრუნველობა. ამათ იკისრეს ესა და მათის ღვაწლითა და შემწეობით მმართველობამ გამართა შკოლა, ამ წლის 3 თებერვალს.

ბანკის წევრთაგან დადგენილი განჩინებით შკოლა უნდა იყოს გამართული 160 ყმაწვილისათვის ოთხს ვანყოფილებათ. წელს მმართველობამ გამართა მხოლოთ ორი პირველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება. ამ ორ განყოფილებაში, მზართველობას, იმავე განაჩენის ძალით, უნდა მიეღო ქუთაისის უეზდიდამ 17 ყმაწვილი, შოროპნიდამ 16, ზუგდიდიდამ 12, სენაკიდამ 13, რაჭიდამ 9, ლეჩხუმიდამ 5 და ოზურგეთიდამ 8. შკოლის გამართვის დრო და კანდიდატების რიცხვი ქუთაისის შკოლის მზრუნველობამ თავის დროზე, შეატყობინა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა.

შკოლაში შესვლის სურვილი განაცხადა 160 ყმაწვილმა. მათში: შორაპნიდამ შემოვიდა 27 თხოვნა, სენაკის მაზრიდამ 21, ზუგდიდიდამ 7, ოზურგეთის მაზრიდამ 5, რაჭის მაზრიდამ 12 და ქუთაისის მაზრიდამ 86. რადგანაც შკოლაში, წესდების ძალით, 80 ყმაწვილზე მეტი არ მიიღებოდა, ადგილის უქონლობისაგამო, შკოლის მზრუნველობა იძულებული იყო უარი ეთქვა ბევრისათვის. ქუთაისია მაზრიდამ მიღებულ აქნა, ვაკანსიის რიცხვით, მხოლოდ 17 და უარი ეყო 69 ყმაწვილს; შოროპნის მაზრიდამ მიღებულ იქნა 16 და უარი ეყო 11-ს; ზუგდიდის მაზრიდამ მიღებულ იქნა 4, სენაკის მაზრიდამ 12, ოზურგეთის მაზრიდამ 2, რაჭის მაზრიდამ 8 და უარი ეყო ზუგდიდიდამ 3, სენაკიდამ 9, ოზურგეთიდამ 3, და რაჭიდამ 4-ს, რადგანაც ესენი არ შეეფერებოდნენ იმ პირობებს, რომლებიც მოითხოვებოდნენ, წესდებით, მიღებისათვის. ლეჩხუმის მაზრიდამ ჩამოიყვანეს მარტო ორი ყმაწვილი, რომელნიც მიღებულნი იყვნენ. ამნაირათ შკოლაში მიღებულ იქნა, გამართვის დროს, მხოლოდ 61 ბავშვი; 19 სხვა ვაკანსია რჩებოდა ცარიელი.

შკოლა გაიხსნა ზამთარში, როდესაც ბევრმა

ვერ შესძლო თოვლის და სიცივის გამო შვილების ჩამოყვანა ქუთაისში, ამისთვის მზრუნველობამ არჩია შკოლის გამართვის შემდეგ კიდევ მოეცადა 20 თებერვლამდის იმ უეზდებისთვის, რომელთაც ერგებოდა ვაკანსია. მაგრამ, რადგან ბავშვები არ მოიყვანეს და ვაკანსია ტყუილად ცდებოდა მზრუნველობამ მიიღო 12 ყმაწვილი ქუთაისისა და 1 შორაპნის მაზრიდამ. ასე რომ დღეს არის შკოლაში 75 ყმაწვილი, რომელთაგან 40 არის პირველ განყოფილებაში და 35 მეორეში.

შკოლის ზედამხედველობა მმართველობამ მიანდო ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძეს.

სწავლა ამ შკოლაში წარმატებით მიდის, როგორც მოწმობს თვითონ მზრუნველობა.

მომავალ 1 სეკტემბერში მმართველობა ჰფიქრობს გამართოს ორი უკანასკნელი განყოფილება.

ამ წლის ბანკის წევრთა ყრილობას წარუდგინა მმართველობამ ამ შკოლის გამართვის დაწვრილებითი ამბავი და ანგარიში: რვა ათასი მანეთიდამ, რომელიც გადადებული იყო შკოლის მოსამართავად და პირველ წელში შესანახავად ამ წლის 1 მაისამდის დაიხარჯა ოთხი ათას ორი მანეთი და ორმოც-და-რვა კაპეიკი.

მომავალი წლის ანგარიში მმართველობამ უკვე წარუდგინა ქუთაისის ბანკის წევრთ საზოგადო ყრილობას.

## ანგარიში.

საზოგადოების დაარსებიდამ 1880 წ. 1 იანვრამდის

### შემოვიდა:

თბილისის სადგილ-მამულო ბანკის
წევრთაგან — — — — — — — 11,000 მ.
ქუთაისის ს. მ. ბანკის წევრთაგან — 3,000 —
საზოგადოების დამფუძნებელ წევრთაგან 1,450 —
საზოგადოების ნამდვილ წევრთაგან — 286 —
უცნობ პირთაგან — — — — — 26 —

და სრულიად 15,762 მ.

### დაიხარჯა:

საზოგადოების წესდების დაბეჭდვისათვის 102 მ. „ კ.
სახალხო შკოლებში გაგზავნილ წიგნე-
ბის სასყიდლათ — — — — — 525 — 12 —
რუისის შკოლის მებელისთვის 157 — „ —
მაზრებში გაგზავნილი აგენტებისთვის — 89 — 73 —
კანცელიარიის სახლის ქირაში — — 81 — 25 —
კანცელიარიის მოსაწყობლად — — 124 — 88 —
წიგნების გაგზავნაში, ფოჩტის ხარჯი,
განცხადების ბეჭდვა და სხ. — — 95 — 7 —
სეკრეტარის ჯამაგირი — — — 350 — „ —

და სრულიად 1,525 — 5 —

1 იანვარს 1880 წ. საზოგადოების კას-
საში იყო — — — — — — 14,236—95—

1 იანვრიდამ 15 მაისამდის 1880 წ.

## შემოვიდა:

| | |
|---|---|
| დამფუძნებელ წევრთაგან — — — — | 445— „— |
| ნამდვილ წევრთაგან — — — — — | 192— „— |
| ცხინვალში გამართულ სპექტაკლიდამ | 84— „— |
| თავნის % — — — — — — — | 263— „— |
| | 984— „— |
| 1 იანვარში დანარჩენი — — — — | 14,236—95— |
| და სრულიად | 15,220—95— |

## დაიხარჯა:

| | |
|---|---|
| გორის სტიპენდიანტებთათვის (1 იანვრიდამ 1 ივლის. 1880 წ.) — — — | 475— „— |
| თბილ. საქალაქო შკოლის სტიპენდიანტ. | 45— „— |
| მეტეხის შკოლის გადასაკეთებლად — | 80— „— |
| კავთისხევის შკოლის მოსათავებლათ — | 200— „— |
| შკოლებში გასაგზავნი წიგნების ფასად — | 40— „— |
| სეკრეტრის ჯამაგირი — — — — — | 250— „— |
| კანცელიარიის სახლის ქირა — — — | 62— „— |
| კანცელიარიის და ბიბლიოტ. მოსაწყობი | 48— „— |
| ოც-და-შვიდი პარტები თბილ. შკოლისთ. | 330— „— |
| ფოშტის ხარჯი, განცხად. ბეჭდვა და სხ. | 54— „ |
| და სრულიად | 1,584 მ. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საზოგადოების დაფუძ-
ნებიდამ 15 მაისამდე 1880 წ. შე-
მოსული — — — — — — 16,746 მ. „ კ.
დახარჯული — — — — — — 3,109 მ. 5 —

15 მაისს საზოგადოების კასსაში
რჩება: — — — — — — 13,636 მ. 95 —

საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი თ. ი. გ. ჭავჭავაძე.

წევრნი:
- ნ. ზ. ცხვედაძე.
- ი. ს. გოგებაშვილი.
- ი. გ. მაჩაბელი.
- გ. მ. თუმანიშვილი.
- თ. დ. ჟორდანია.
- ი. ქ. გამყრელიძე.
- ი. მ. მეუნარგია.

## ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წევრნი.

### დამფუძნებელნი:

1 აბაშიძე, კნ. გიორგი ივანესძე, პოლკოვნიკი.
აბაშიძე, კნ. ნიკოლოზ სიმონისძე, სტ. სოვეტნიკი.
აბდუშელიშვილი, დავით ნიკოლოზისძე.
ავალიშვილი, კნ. დავით ივანესძე.
5 ალექსანდრე, გორის ეპისკოპოსი.

ალექსეევი-მესხიევი, მიხაილ დიმიტრისძე, ნადვ. სოვეტ.
ალექსეევი — მესხიევი, ნიკოლოზ იაკინთესძე.
ამილახვარი, კნ. ამირინდო ამირინდოსძე.
ამილახვარი, კნ. ივანე გიორგისძე. მ. დ. სვიტ. გენერ. მაიორი.
10 ამირაჯიბისა, კნ. სოფიო ვასილის ასული.

ამირაჯიბი, კნ. მიხაილ ქაიხოსროს-ძე, გენ.-მაიორი.
ანდრონიკოვისა, კნ. ბარბარე მერაბის ასული.
ანდრონიკოვი, კნ. იესე ადამის-ძე, დეისტ. სტ. სოვ.
არგუთინსკი, დოლგორუკოვი, კნ. ნიკოლოზ ვასილისძე.
15 ასათიანი, ლუკა ნიკოლოზის-ძე, კოლ. სეკრ.

ათაბეგოვი, გიორგი ყაზარას-ძე, კოლლ. სეკრ.

ბაგრატიონ მუხრანსკისა, კნ. ბარბარე ირაკლის ასული.

ბაგრატიონ მუხრანსკი, კნ. ივანე კონსტანტინეს-ძე, გენერ.-ლეიტ.

ბაგრატიონ მუხრანსკი, კნ. ერეკლე კონსტანტინეს-ძე, დ. ს. ს.

20 ბაგრატიონ მუხრანსკი. კნ. კონსტანტინე ივანეს-ძე, პოლკოვნიკი.

ბაქრაძე, დავით ნიკოლოზის-ძე, ტიტ. სოვეტ.

ბარათაშვილისა, კნ. ბარბარე.

ბარათაშვილი, კნ. გიორგი ვახტანგის-ძე.

ბარათაშვილი, კნ. დავით ზაალის-ძე.

25 გაბრიელ, ეპისკოპოსი იმერეთისა.

გრუზინსკი, კნ. ირაკლი ალექსანდრეს-ძე, დ. ს. ს.

გრუზინსკისა, კნ. თამარ დავითის ასული.

გურიელი, კნ. ლევან დავითის-ძე, გენერ.-მაიორი.

გურიელი, კნ. მამია დავითის-ძე, როტმისტრი.

30 დადიანი, უგანათლ. კნ. გრიგოლ ლევანის-ძე, გენერ.-ლეიტ.

დადიანისა, უგანათლ. კნ. ეკატერინე ალექსანდრეს ასული.

დადიანი, უგანათლ. კნ. კონსტანტინე ლევანის-ძე. გენერ.-მაიორი,

ელიოზოვი, მიხაილ იაგორის-ძე.

ერისთავი, კნ. ზაქარია გიორგის-ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35 ერისთავი, კნ. გიორგი რომანოზის-ძე, გენ.-ლეიტ.
ერისთავი, კნ. დავით გრიგოლის-ძე.
ერისთავი, კნ. ზაქარია გრიგორის-ძე.
ერისთავი, კნ. მიხეილ ბიძინას-ძე, გენერალ-მაიორი.
ერისთავი, კნ. კონსტანტინე დიმიტრის-ძე, მაიორი.
40 ერისთავი, კნ. რაფიელ დავითის-ძე.
ერისთავი, კნ. რევაზი შალვას-ძე, გვარდ. როტმისტრი.
ზუბალოვი, კნ. ივანე ანდრიას-ძე, ს. ს.
ზუბალოვი, კნ. ივანე იაგორის-ძე, ს. ს.
ზუბალოვი, კნ. ნიკოლოზ დავითის-ძე.
45 თარხანოვი, კნ. გიორგი იორამის-ძე, პოდპოლკ.
თულაევი, ვახტანგი დიმიტრის-ძე, კოლ. ასესს.
თუმანოვი, კნ. ივანე პავლეს-ძე, ს. ს.
თუმანოვი, კნ. პავლე ალექსანდრეს-ძე.
თუმანოვი, იასონ დიმიტრის-ძე, დ. ს. ს.
50 იედიგარაშვილი, ისრაფილ-ბეგ, გენ.-მაიორი.
კობიევი, ნიკოლოზ გრიგორის-ძე, გენ.-მაიორი.
ლოლუა, ლუარსაბ თეიმურაზის-ძე.
ლორის-მელიქოვი, გრაფი მიხეილ ტარიელის-ძე, გე-
ნერ.-ადიუტ.
ლორთქიფანიძე, კნ. ანტონ ნიკოლოზის-ძე, გუბ. სეკრ.
55 ლორთქიფანიძე, კნ. დავით არჩილის-ძე.
მაღალოვი, ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე.
მამაცოვი, კონსტანტინე ქრისტეფორის-ძე, გენ.-ლეიტ.
მამაცოვი, ქრისტეფორე იოსების-ძე, პოდპოლკ.

მაჩაბელი, კნ. ანემპოდისტ იესეს-ძე, კორნეტი.
60 მაჩაბელი, კნ, ვასილ გიორგის-ძე.
მაჭავარიანი, სპირიდონ სიმონის-ძე, გენ.-მაიორი.
მელიქიშვილი, კნ. ლევან ივანეს-ძე, გენერ.-ადიუტ.
მიქელაძე, კნ. ალექსანდრე ტარიელის-ძე, გვარდ. პოლკ.
მენგრელსკი, უგან. კნ. ნიკოლოზ დავითის-ძე, ფლიგ. ადიუტანტ.
65 მუსხელოვი, ალექსანდრე ივანეს-ძე, არტ. პოლკ.
მუსხელოვი, დიმიტრი ივანეს-ძე, არტ. პოლკ.
მუსხელოვი, გიორგი ივანეს-ძე, კაპიტ.
ნაკაშიძე, კნ. პეტრე გრიგოლის-ძე
ონიკოვი, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, გუბ. სეკრ.
70 ორბელიანი, (ჯამბაკურ), კნ. ალექსანდრე ივანეს-ძე, შტაბ.-კაპიტ.
ორბელიანისა, კნ. ბარბარე ილიას ასული.
ორბელიანი, კნ. გრიგოლ დიმიტრის-ძე, გენ. ადიუტ.
ორბელიანი, კნ. ვახტანგ ვახტანგის-ძე, გენ.-მაიორი.
პოლტარაცკი, ალექსანდრე ეგნატეს-ძე.
75 პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს-ძე.
რეიტერი, კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე, კოლ. სეკრ.
საგინოვი, ალექსანდრე დიმიტრის-ძე, გენ.-მაიორი.
საგინოვისა, ელისაბედ გრიგოლის ასული, მეუღლე გენერ. მაიორი.
სარაჯოვი, ვასილ გრიგოლის-ძე, დ. ს. ს.
80 სარაჯოვი, დავით ზაქარიას-ძე.

სიდამონოვ-ერისთავი, კნ. დიმიტრი გიორგის-ძე.

სიდამონოვ-ერისთავი, კნ. ეროთეოზ გიორგისძე, ტიტ. სოვეტ.

სტაროსელსკისა, ეკატერინე თადეოზის ასული, მეუღლე გენ.-მაიორი.

სუმბათოვი. კნ. დავით ალექსანდრეს-ძე, გვარდ. როტმისტ.

85 ტერგუკასოვი, არზასი არტემის-ძე, გენ.-ლეიტ.

ტერ-არუთინიანცი, ტიგრან არტემისძე, კოლ. სეკრ.

ფიფინაშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე.

ღოღაბერიძე, გიორგი ბესარიონის-ძე,

ღოღაბერიძე, ნიკოლოზ ბესარიონის-ძე, ნადვ. სოვ.

90 ღოღაბერიძე, სიმონ ბესარიონის-ძე, კოლ. სოვ.

ყაზბეგი, გიორგი ნიკოლოზის-ძე, პოლკ.

ყიფიანი, დავით ქაიხოსროს-ძე.

ყიფიანი, დიმიტრი ივანეს-ძე, დ. ს. ს.

ყიფიანი, კონსტანტინე ოტიას-ძე.

95 ყიფიანი, მიხეილ ზაალის-ძე, ს. ს.

შალიკოვი, კნ. იოსებ ივანეს-ძე.

შახ-პარონიანცი, მიხეილ სერგის-ძე.

შარვაშიძე, კნ. გიორგი დიმიტრის-ძე, კამერ იუნკერი.

ჩოლაყაშვილი, კნ. ალექსანდრე ზაალის-ძე.

100 ჩოლაყაშვილი, კნ. ბიძინა ოთარის-ძე, პოდპოლკ.

ჩოლაყაშვილი, კნ. ნიკოლოზ ზაალის-ძე, როტმის.

ჩოლაყაშვილი კნ. ერასტო ზაალის-ძე, ს. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგარელი, ალექსანდრე ანტონის-ძე.
ცაგარელი (თომინი), მელიტონ თომას-ძე, ს. ს.
105 ცისკაროვი, ფილიპე ისააკის-ძე, კოლ. სეკრ.
ციციშვილი, კნ. გიორგი ივანეს-ძე, გვარდ. პოლკ.
ცხვედაძე, ნიკოლოზ ზებედეს-ძე, ტიტ. სოვეტ.
წერეთელი, კნ. ნესტორ დიმიტრის-ძე, მ. დ. სვ. გენერ.-მაიორი.
წერეთელი, კნ. სიმონ როსტომის-ძე, პრაპორშჩ.
110 წინამძღვაროვი, ილია ივანეს-ძე, კოლ. სეკრეტ.
წულუკიძე, კნ. ასლან ვახტანგის-ძე, პორუჩიკი.
წულუკიძე, კნ. დიმიტრი პაატას-ძე.
ჭავჭავაძე, კნ. დიმიტრი სულხანის-ძე, პოლკ.
ჭავჭავაძე, კნ. ზაქარია გულბაათის-ძე.
115 ჭავჭავაძე, კნ. ილია გრიგოლის-ძე.
ჭავჭავაძე, კნ. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე, დ. ს. ს.
ჭავჭავაძე, კნ. ნიკოლოზ ზურაბის-ძე, მ. დ. გენ.-მაიორი.
ჭავჭავაძე, კნ. იესე ნაშრევანის-ძე, ს. ს.
ჯანდიერი, კნ. ლევან გრიგოლის-ძე.
120 ჯომარჯიძე, კნ. მიხეილი გრიგოლის-ძე, გენ.-ლეიტ.
ჯორჯაძე, კნ. გიორგი დავითის-ძე, პოდპოლკ.
ჯორჯაძე, კნ. დიმიტრი დავითის-ძე, ტაინ. სოვეტ.

## ნამდვილნი წევრნი:

აბაშიძე, ვასილი ალექსანდრეს-ძე.
აბაშიძე, ილია დავითის-ძე.
125 აბულაძე, ვასილი ნიკოლოზის-ძე.
ავალიშვილისა, თებრონია სპირიდონის ასული.
ავალიშვილი, ნიკოლოზ იაკობის-ძე.
არდაზიანი, ნიკოლოზ, დეკანოზი.
ბაკულინსკი, მიხეილ ივანეს-ძე.
130 ბაქრაძე, იოსებ დავითის-ძე.
ბაქრაძე, იოსებ ზოსიმეს-ძე.
გაბაშვილი, ალექსანდრე ზაქარიას-ძე.
გაბაშვილისა, ეკატერინა რევაზის ასული.
გამყრელიძე, ივანე ევდოკიმეს-ძე.
135 გოგებაშვილი, იაკობ სიმონის-ძე.
გრიგოლ, არხიმანდრიტი (დადიანი).
გულისაშვილი, გაბრიელ დიმიტრის-ძე.
გულისაშვილი, ზაქარია მიხეილის-ძე.
გურამიშვილი, კნ. დავით ალექსანდრეს-ძე.
140 გურიელი, კნ. დიმიტრი ქაიხოსროს-ძე, გენ. მაიორი.
დათუქვიაშვილი, დავით ანტონის-ძე.
დიდებულიძე, გიორგი ზაქარის-ძე.
ელიევი, ესტატე მღვდელი.
ელიოზოვი, ალექსანდრე იოსების-ძე.
145 ელიოზოვი, სოლომონ, მღვდელი.

ერისთავი, კნ. ივანე ელიზბარის-ძე.
ერისთავი, კნ. ლუარსაბ ალექსანდრეს-ძე.
ერისთავი, კნ. ნიკოლოზ რევაზის-ძე.
ვაჩნაძე, კნ. ქაიხოსრო.
150 ზუბალაშვილი, კნ. ალექსანდრე დავითის-ძე.
ზუბალაშვილი, კნ. ალექსანდრე იაკობის-ძე.
ზუბალაშვილი, კნ. იოსებ გიორგის-ძე.
ზუბალაშვილისა, კნ. იულია ადამის ასული.
ზუბალაშვილი, კნ. კონსტანტინე იაკობის-ძე.
155 თავდგირიძე, კნ. ნესტორ ალექსანდრეს-ძე.
თულაშვილი, ივანე გაბრიელის-ძე.
თუმანიშვილი, კნ. ანასტასია მიხეილის ასული.
თუმანიშვილი, კნ. გიორგი მიხეილის-ძე.
თუმანიშვილი, კნ. ლევან ალექსანდრეს-ძე.
160 თუმანიშვილისა, კნ. სოფიო ედუარდის ასული.
კესარიოსი, არხიმანდრიტი.
კვიტკოვსკი, ანდრია ადამის-ძე.
ლეჟავა, თეიმურაზ ვახტანგის-ძე.
ლეონიძე, სოლომონ ივანეს-ძე.
165 ლიაძე, ივანე ბესარიონის-ძე.
ლორთქიფანიძისა, კნ. ელენე დიმიტრის ასული.
ლორთქიფანიძე, კნ. კირილე ბეჟანის-ძე.
მაკარი, არხიმანდრიტი.
მამაცაშვილი, ზაქარია იოსების-ძე.
170 მანცვეტოვი, ალექსანდრე, დეკანოზი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარჯანიძე, ქერემ ესტატეს-ძე.
მაღალაშვილი, ზაქარია გრიგოლის-ძე.
მაჩაბელი, კნ. ივანე გიორგის-ძე.
მაჭავარიანი, მიხეილ ანდრიას-ძე.
175 მაჭაროვი, გრიგოლ, მღვდელი.
მელიქიშვილი, სტეფანე გრიგოლის-ძე.
მესხისა, ეკატერინე გრიგოლის ასული.
მესხი, ივანე სიმონის-ძე.
მესხი, სერგეი სიმონის-ძე.
180 მეუნარგია, იონა მიხეილის-ძე.
მეუნარგია, მიხეილ, მღვდელი.
მიქელაძე, დავით ალექსანდრეს-ძე.
მიქელაძე, ვლადიმირ სიმონის-ძე.
მუსხელოვისა, ანნა ბესარიონის ასული.
185 მუხრანსკისა, კნ. ქეთევან ირაკლის ასული.
მღებრიშვილი, ლევან იაკობის-ძე.
ნაცვლიშვილი, კონსტანტინე დავითის-ძე.
ნიჟარაძე, კნ. იოსებ დავითის-ძე.
ნიჟარაძე, კნ. კონსტანტინე დავითის-ძე.
190 ნიჟარაძე, კნ. სიმონ დავითის-ძე.
ორბელიანი, კნ. გრიგოლი კონსტანტინეს-ძე.
ორბელიანისა, კნ. ნინო სიმონის ასული.
ჟორდანია, თევდორე დავითის-ძე.
რატიევი, ზურაბი.
295 როინაშვილი, ალექსანდრე სოლომონის-ძე.

სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე.
სავარიშვილი, არშაკი პავლეს-ძე.
სიმონოვიჩი, სვირიდონ გიორგის-ძე.
უთურგაური, გიორგი კურდღელის-ძე.
225 უმიკაშვილი, პეტრე იოსების-ძე.
ფავლენაშვილი, კონსტანტინე იესეს-ძე.
ფურმანი, ივანე რომანოზის-ძე.
ფურცელაძე, ანტონ ნიკოლოზის-ძე.
ფურცელაძისა, ეკატერინა დიმიტრის ასული.
200 ფურცხვანიძე, ბორის გრიგოლის-ძე.
ქანანოვი, ნიკოლოზ დავითის-ძე.
ქანანოვისა, ოლღა ლიუდოვიკის ასული.
ქართველოვი, გიორგი დავითის-ძე.
ქიქოძე, მიხეილ ათანასეს-ძე.
205 ქიქოძე, მოსე ათანასეს-ძე.
ქუთათელაძე, არისტოტელ ვასილის-ძე.
ღამბაშიძე, დავით, მღვდელი.
ყავრიშვილი, კონსტანტინე იოსების-ძე.
ყაზიბეგი, ალექსანდრე მიხეილის-ძე.
210 ყაზიბეგი, რაფაელ ნიკოლოზის-ძე.
ყიფიანისა, ანასტასია მიხეილის ასული.
ყიფიანი, ნიკოლოზ დიმიტრის-ძე.
ყიფიანი, კონსტანტინე დიმიტრის-ძე.
ყონჩუევი, პეტრე, მღვდელი.
215 შარვაშიძე, კნ. გრიგოლ ალექსანდრეს-ძე.

შარვაშიძე, კნ. გრიგოლ ალექსანდრეს-ძე.
შარიივოვი, მეთობეგი.
შიუკოვი, შიო ისაკის-ძე.
ჩარკვიანი, გიორგი.
220 ჩიჯავაძე, იაკობ, მღვდელი.
ჩოლაყაშვილი, კნ. აბელ ოთარისძე.
ცერვაძე სიმონ იაკობის-ძე.
ცხვეთაძე, ალექსანდრე ზებედეს-ძე.
წერეთელი, კნ. აკაკი როსტომის-ძე.
230 წერეთელი, ალექსანდრე მიხაილის-ძე.
წერეთელი, გიორგი დავითის-ძე.
წერეთელი გიორგი ევთიმეს-ძე.
წულუკიძე, კნ. პეტრე გიორგის-ძე.
ჭრელაევი, სტეფანე თევდორეს-ძე.
235 ჭყონია, ალექსანდრე მირიანის-ძე.
ჭიჭინაძე, ალექსი ბესარიონის-ძე.
ხატისოვი, გაბრიელ სტეფანეს-ძე.
ხელაევი, მიხეილ, მღვდელი.
ჯაბადარი, კნ. ნიკოლოზ სფირიდონის-ძე.
240 ჯაბადარისა, კნ. ნინო სფირიდონის ასული.
ჯაბადარი, კნ. სფირიდონ ივანეს-ძე.
ჯანაშვილი, მოსე გიორგის-ძე.
ჯანდიერი, კნ. ვლადიმირ ივანეს-ძე.
ჯანდიერი, კნ. ზაალ ივანეს-ძე.
445 ჯორჯაძე, კნ. მიხეილ ზაქარის-ძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა